№ 120

ოთხშაბათი, 6 ივნისი, 1901 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1901

# ივერია

№ 120

ოთხშაბათი, 6 ივნისი, 1901 წ.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეფონი № 741.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика"

## საამფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

## დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

**განყოფილება**

**სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—39)

**„ივერიის" რედაქციისაგან.**

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**გ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მუდინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ი. ჰ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

**ა. მ. მატინოვი**—თვალის 11—12 საათ.

**ექიმი ქალი მ. ს. ზაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. ბ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

**გ. დ. მარკევიჩი**—საქირურგო—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

**კვირაობით:**

**ბ. გ. მაღალაშვილი**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კავკასიის სამთო გამგეობის უფროსის ნება-რთვით, სოფ. ჭიათურაში შორაპნის მაზრის შავის-ქვის მწარმოებელთა ხარჯით, **არსდება 1901 წ. პირველ ივლისიდგან უფასო**

## კურსები

სამთო ხელობისა იმათთვის, ვისაც ჰსურს პასუხის მგებლობა იკისროს სამთო-სამადნო სამუშაოების რიგიანად და უშიშრად წარმოებისა.

კურსებზედ შესვლის მსურველთ წერილობით განცხადება უნდა გამოუგზავნონ კურსების გამგის ინჟენერის პ. ა. მარკოვსკის სახელობაზედ (სოფ. ჭიათურაში); თან უნდა გამოაყოლონ მოწმობა და სხვა საბუთის ქაღალდები.

კურსებზედ შემსვლელთ უნდა იცოდნენ რუსული ენა და სწორედ წერა და კითხვა რუსულად.

კურსებზედ მიიღებიან 20 წლისაზედ არა უმცირესნი. ამასთან უპირატესობა იმათ მიეცემათ, ვინც სამუშაოებს განაგებს ან შორაპნის შავის ქვის საქმეში მსახურებს.

(3—6.—1)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. გმელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

## ფელეტონი

**მარიამ შოტლანდელი**

ხუთ-მოქმედ. დრამა

თხზ. ბერნსტერნ-ბერნსონისა.

თარგმანი ინ-ანისა.

(შემდეგი *)

**გამოსვლა IV.**

ნოქსი. დედოფალი.

**ნოქსი.** (დედოფალს, რომელიც მიმავალს დარნლეის დაფიქრებული თვალს გაადევნებს). რისთვის მომიხმეთ?

**დედოფალი.** (მოაგონდება). ყური დამიგდეთ! ამ სადღესასწაულო ტანისამოსშია-ც-კი ეჭვი და მწუხარება გულსა მხუთავს. ჩემს სახლში უკვე მწუხარებამ დაიმკვიდრა და არასოდეს აღარ შესცვლის მას სიხარული! (ერთს წამს შესდგება). ეჭვი შეპარა თვით ჩემს ზრუნვასაც-კი ქვეყნის შესახებ და ნებას არ მაძლევს რაიმე გზა ამოვირჩიო. ეს ისეთი დროა, რომ დამალვა აღარ შეიძლება და უნდა გამოგიტყდეთ, რომ რიჩჩიო ჩემის გაუფრთხილებლობის მსხვერპლი შეიქმნა და მასთან ერთად დაემხო მთლად ჩემი პოლიტიკა, რომლის ბურჯი და სიმტკიცეც იგი იყო. მაგრამ ვიდრე კათოლიკეთა სახელმწიფოებთან კვლავ მოლაპარაკებას დავიწყებდე, მსურს ერთხელ კიდევა ვცადო და თქვენთან როგორმე შევთანხმდე. ნუ მეტყვით უარს ამ თხოვნაზედა და ერთხელ მაინც არის კეთილად და რბილად მომეპყარით; მითხარით, ნუ-თუ შერიგება შეუძლებელია?

**ნოქსი.** ამის შესახებ თქვენის უდიდებულესობისათვის არა ერთხელ და ორჯელ მიპასუხნია.

**დედოფალი.** თქვენ მუდამ მხოლოდ თქვენსასა თხოულობთ. ამას ხომ მორიგება არ დაერქმევა.

**ნოქსი.** თქვენს უდიდებულესობას უკვე მოეხსენება, რომ სინიდისთან ვაჭრობა და სიმართლის წინაშე ცბიერება არ შემიძლიან.

**დედოფალი.** მაგას არ ვამბობ, არა! მითხარით მხოლოდ რა ვქმნა?

**ნოქსი.** რა ჰქმნათ?.. რა, და კათოლიკეთა სარწმუნოებაზედ უარი უნდა სთქვათ, პაპის ცთომილებათ განზედ გაუდგეთ, ამ განხორციელებულს ანტიქრისტეს მთლად დაშორდეთ!

**დედოფალი.** ოჰ, მაგას ნუ მეტყვით! მოიგონეთ, რომ ამ სარწმუნოებაზედ ყმაწვილობით მონათლული ვარ, ახალგაზრდობა ჩემი მითივე დავაგვირგვინე და ყველა, ვინც-კი ამ გულს ენათესავებოდა, სამარის პირად მით მივაცილე,—იგი ჩემთვის ძვირფასი არის! ჩემი გული მასთან მჭიდროდ დაკავშირებულია!

**ნოქსი.** მაშ აღარც საკვირველია, რომ ვეღარა გარდაგიწყვეტიათ-რა, მართასი არ იყოს, ვერაფერი გზა ამოგირჩევიათ.

**დედოფალი.** შემიბრალეთ,—დღევანდელ საქმეთა და მომავალის შესახებ ვილაპარაკოთ; ღამის არის სასოება მთლად დავკარგო!

**ნოქსი.** ღმერთს თქვენი გაფრთხილება ჰსურდა!

**დედოფალი.** რა?

**ნოქსი.** თუ რომ ეხლაც, ამდენის გამოცდის შემდგომ, პირდაპირ არ იმოქმედებთ და იმედი გაქვთ რაღაც მორიგებისა და მოტყუებისა, მაშინ, დედოფალო, თქვენ ღვთის წინააღმდეგ იქცევით მხოლოდ!

**დედოფალი.** მე თქვენი ვერა გამიგია-რა.

**ნოქსი.** ვეცდები გაგაგებინოთ. როდესაც მანასიამ ღმერთს წინააღმდეგობა დაუწყო, იგი ასსურეთს წაიყვანეს ტყვედ და მხოლოდ მაშინ-ღა დაუბრუნდა მამა-პაპათა ტახტი, როდესაც ცოდვა შეინანა. იმისმა შვილმა ამმონმა-კი კვლავ ურჩობა გასწია და ამისათვის იგი თავისსავე მონათაგან იქმნა მოკლული.

**დედოფალი.** წმიდაო ქალწულო! მაგითი ხომ ამბოხებასა ჰქადაგებთ!

**ნოქსი.** არა, მხოლოდ იმას, რასაც საღმრთო წერილი ჰბრძანებს!

**დედოფალი.** ეგ ქრისტიანობის წინააღმდეგია: მეფე ღვთისაგან არის ცხებული.

**ნოქსი.** მანასიაც ღვთისაგან იყო ცხებული.

**დედოფალი.** ოჰ, ნოქს! როგორცა ვხედავ, თქვენ იქნებით მიზეზი ყველა ჩემ უბედურებათა!

**ნოქსი.** ღვთის სიტყვის სხვაფრივ ახსნა და განმარტება არ შემიძლიან.

**დედოფალი.** ის ხომ შეგიძლიანთ, რომ ადამიანურად მომეპყროთ (სტირის).

**ნოქსი.** (უფრო რბილად). ოჰ, ეგ ცრემლები რომ ნამდვილის სინანულის ნაყოფი იყოს, მაშინ წინასწარმეტყველის გულადის სიტყვით გიგებდით პასუხს: „რადგანაც ნათქვამმა გული მოგილბოთ, ღმერთს დაჰმორჩილდით და გულწრფელად ცრემლი დაჰღვარეთ,—წინაპართ მშვიდობით შეეგებებით და თვალნი შენნი არა იხილვენ უბედურებას, რომელსაც აღგილსა ამას მოავლენ".

**დედოფალი.** მეც დავმორჩილდები, აღარ ვეცდები ჩემი სარწმუნოება ძალით გავავრცელო. აღარა მსურს კვლავ განვიცადო ის ღამე, როდესაც რიჩჩიო მოჰკლეს...

ვითხოვ მხოლოდ შეღავათსა და აზრის თავისუფლებას ისრევე, როგორც მე ვაძლევ სხვებსა. ჰა, ჩემი მსხვერპლი, ნუ-თუ კიდევ ვერ შეისმინეთ, ვერ დააფასებთ?

**ნოქსი.** როდესაც მეფე საული სრულიად არ დაჰყვა ღვთის ნებასა და სამაგიეროდ მსხვერპლი შესწირა, რომ ამითი წყალობა უფლისა მაინც დაემსახურებინა, სამუელმა აი რა ჰრქვა: „იქნება ჰგონებ ღმერთს მსხვერპლი უნდოდეს და არა მორჩილებაო?"—კერპობა და გაუგონრობა ყველაზედ დიდი უღმერთობა და კერპთ-თაყვანის-მცემლობაა.

**დედოფალი.** განა კერპებს ვსცემ თაყვანს?

**ნოქსი.** დიახ.

**დედოფალი.** ოჰ, ნოქს! ცოდვაა მაგისი თქმა!

**ნოქსი.** მაგრამ სიჩუმე ხომ უარესი ცოდვაა. ღვდელმთავარი ილია მართალი კაცი იყო. მაგრამ, შვილებს რომ თავი ვერ დაუჭირა და შესცოდეს, ღმერთმა დედა-მიწის ზურგიდგან აჰგავა იგი.

**დედოფალი.** ყური დამიგდეთ. ჩემი სარწმუნოება ისრევე წმიდაა ჩემთვის, როგორც თქვენი თქვენთვის. თქვენს მოძღვრებას თავისის ღვდლებით, ღვთის მსახურებითა და ტაძრებით სახელმწიფოსა და კანონის მფარველობის ქვეშ სრულს თავისუფლებას მივანიჭებ. ნება მომეცით იგივ უფლებები კათოლიკეთაც მივცე! ამ ადამიანის ღირსების შემარცხვენელსა და საზარელს განხეთქილებას ნუღარ გამოიწვევთ. ვითვისოთ ერთმანერთი და ნუ დავივიწყებთ, რომ ქრისტიანობის უმთავრესი მცნება სიყვარულია! თქვენ თითონ უნდა ეცადნეთ, ნოქს, გვიჩვენოთ მაგალითი ასეთის სიყვარულისა. რად მარისხებთ და მწყევლით თქვენის ამბიონიდგან? მერე ისაც ვის? დედოფალს, რომელიც თითონ ღმერთს მოუვლენია თქვენთვის. რად აღელვებთ ჩემ წინააღმდეგ პარლამენტს? სჯობს ისევ ამ უბედურს ქვეყანაში მთავრობის მორჩილებისა და კანონის აღდგენას ემსახუროთ.

**ნოქსი.** კათოლიკეთა მოძღვრებამ ხალხი მთლად წარყვნა. კათოლიკეთა ეკკლესია ყოველივეს აპატიებს, ყოველივეს უნდობს ადამიანს, რაც-კი მას ველურობამდე მიიყვანს, შურის ძიებას, ვერცხლთ-მოყვარებას, ცუდ-დიდობას გაულვიძებს. ჩვენ ისევ კერპთ-მსახურების დროს დავუბრუნდით. ანგელოსი უფლისა კარებს სდარაჯობს: მართალია, დახშულია იგი, დახშული აგრეთვე ყველა მრუდედ მავალი გზა, მაგრამ სანამდის ერთი რომელიმე კარი კათოლიკეთა ეკკლესიისა მაინც ღიაა, იქამდის მრუდე გზაც ყველასათვის გახსნილი

*) იხ. „ივერია" № 106.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

**გ. ა. თარხანოვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
**Навасардiана.**
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა მე-5 კავალერიის დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი თავ. ე რ ი ს თ ა ვ ი ალექსანდრეს სახელობის დაჭრილთა კომიტეტის წევრად.

გადაყვანილ იქმნა მე-114 ნოვოტორჟსკის ქვეითა რაზმის პოდპორუჩიკი ჩ ი ქ ო ი ძ ე ასლანდუზის რეზერვის ბატალიონში.

გამწესებულ იქმნა პროვიზორი ლ ო მ ი ძ ე ყარსის სამხედრო საავადმყოფოში რეცეპტარიუსად.

# ახალი ამბავი

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ტფილისში აზრადა აქვთ დააარსონ „ბეჭდვითი საქმის კავკასიელ მოღვაწეთა ურთ-ერთ დამხმარებელი საზოგადოება“. ჰფიქრობდნენ ჯერ „დრო-გამოშვებით გამოცემებში მოსამსახურეთა დამხმარებელ კასსის“ დაარსებას. უკვე შემუშავებულ იქმნა ვ. დ. ყორღანოვის მიერ პროექტიც, რომლის ძალითაც კასსის წევრობა შეეძლოთ მხოლოდ ლიტერატორებს და საზოგადოდ ჟურნალ-გაზეთებში მოსამსახურეთ; მაგრამ კვირას, 4 ივნისს, მომხდარმა კრებამ, რომელზედაც ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი იქმნენ მიწვეულნი, სასურველად სცნო საზოგადოება იქმნას დაარსებული, რომლის წევრობაც მწერლებს გარდა უნდა შეეძლოს ყველა იმათ, ვისაც რაიმე კავშირი აქვთ ბეჭდვის საქმესთან, როგორც, მაგალითად: რედაქტორებს, ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელთ, გამომცემელთ, ასოთ-ამწყობთ, სტამბის პატრონთ, მბეჭდავთ და სხვას. კრებამ ხუთის კაცისაგან შემდგარი კომისია აარჩია, რომელმაც დაწვრილებით უნდა განიხილოს ძველი წესდება, შეავსოს იგი და საზოგადო კრებას წარუდგინოს. კრება შემოდგომაზედ უნდა მოხდეს; მიწვეული იქმნებიან ადგილობრივ რედაქციების წარმომადგენელნი.

*** თერგის ოლქის უფროსმა შეატყობინა გამოფენის გამგე-კომიტეტს, რომ რადგანაც არა გვაქვს საჭირო ფული თერგის ოლქში ექსპონატების შესაკრებად და ტფილისში გამოფენაზედ გამოსაგზავნად, ამიტომ 500 მან. შემწეობა აღმოგვიჩინეთ ამ საქმისათვისაო.

*** მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად ტეხნიკოსის ლისიცევის მიერ ტფილისის ქალაქის გამგეობაში შეტანილი იქმნა განცხადება ავჭალიდგან ქალაქში მეორე წყლის მილის გამოყვანის შესახებ. ამ საქმის გამო გამგეობამ მოხსენება მოსთხოვა ქალაქის ინჟენერს. ხვალ, 7 ივნისს, საღამოს 8 საათზე, მოხდება გამგეობის სხდომა, რომელზედაც სპეციალისტნიც იქნებიან მიწვეულნი აღნიშნულ წყლის მილის გამოყვანის შესახებ მოსალაპარაკებლად.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში ხვალ, 7 ივნისს, მოხდება სხდომა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიისა მიმდინარე საქმეების განსახილველად.

*** ეს ორი კვირაა, რაც მცირე კომისია ადგენს პროექტს ტფილილისის სახელოსნო სასწავლებლის გადაკეთებისას. კომისიამ უკვე დაასრულა მუშაობა. იგი ახლო მომავალში წარუდგენს ტფილისის ქალაქის გამგეობას განსახილველად.

*** სამხრეთ რუსეთის ისლისა და კანაფის მრეწველ ამხანაგობამ სთხოვა კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის გამგე კომიტეტს დაუთმოს განსაკუთრებულ პავილიონისათვის საჭირო ადგილი გამოფენაზედ.

*** 4 ივნისს ტფილისის ნოქართა დამხმარებელ საზოგადოების დამაარსებელთა კრება მოხდა, რომელზედაც გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ს. გ. კაფიევი, ვ. ლ. პოტკოვი, დ. ი. არაქელოვი, ტ. ა. ხოჯა-თუმანიანცი და ბ-ნი სინელნიკოვი.

*** 3 ივნისს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების რწმუნებულწევრთა კრება მოხდა. კრებამ დაამტკიცა 1900 წლის ანგარიში და 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც შემოსავალი გამოანგარიშებულია 765,000 მან., ხოლო ხარჯი—81,952 მან. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ბულგაკოვი, ჩეკინი, მათ კანდიდატებად: ზვერევი, ტოლოჩკო და სოკოლოვი.

*** რაჭის მაზრის დაბა ონში 25 ივნისს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველ დეპარტამენტის სესია განიხილავს საქმეს მაზრის უფროსად ნამყოფის ბ-ნ ალშიბაიასას, რომელსაც სამსახურის დროს სხვა-და სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდება.

*** როგორც „ცნ. ფურ.“-ს ატყობინებენ, პირველ ივლისს, საღამოს 8 საათზედ, სიღნაღიდგან 10 ვერსის მანძილზედ, ხუთ შეიარაღებულს ყაჩაღს გაუძარცვნია სამის დილიჟნისა და ერთის ფურგუნის მგზავრები. წაურთმევიათ მგზავრებისათვის თითქმის ყველაფერი, რაცკი რამ ჰქონიათ. მგზავრები სულ ქალები და მოსწავლე ყმაწვილები ყოფილან.

*** ორშაბათს, 4 ივნისს, თავადაზნაურთა თეატრის დარბაზში შეიკრიბა რამდენიმე ყმაწვილი კაცი, რომელთაც ლაპარაკი ჰქონდათ იმის შესახებ, თუ როგორ შეუდგნენ აქაურ ფრინველის ჯიშის გაუმჯობესობას, გამრავლებასა და ვაჭრობას. კრებაზედ გამოირკვა, რომ ეს საქმე არც საშიში ყოფილა და არც საზარალო და გადასწყვიტეს შეადგინონ ამხანაგობა და რამდენიც შეიძლება, მეტი წევრი მიიზიდონ. აზრადა აქვთ ეხლავ შეუდგნენ ამის განხორციელებას. ახალი კრება დანიშნულია ხუთშაბათს, 7 ივნისს, იმავე დარბაზში. კრებაზედ შეუძლიან დასწრება ყველას, ვისაც წევრობის სურვილი გამოუცხადებიათ. ამ კრებაზედ ამოირჩევენ გამგეობის სამს წევრს და ხაზინადარს და შეიმუშავებენ პირობებს, თუ როგორ მოაწყონ წარმოება საქმისა.

*** ტფილისში დაარსდა ამხანაგობა მომავალ საიუბილეო გამოფენაზედ გასართობების გასამართავად. ამხანაგობის მიერ რჩეული კომისია (თავ. ანდრონიკაშვილი, თაიროვი, ისტამანოვი, ფუღინოვი და სხვა) ამზადებს ამ გასართობთა პროგრამას.

*** ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტში წელს სწავლა დაამთავრა სულ 30 ქალმა. აქედგან ქართველი თერთმეტია: ეკატერინე ანთაძე, ელენე ელიაშვილი, ელენე ცხვედაძე, მარიამ ბორისოვ-ბერიძე, თამარა ღვინიაშვილი, მარიამ იოსელიანი მარიამ ყანჩელი, თავ. ასული თამარა მაყაშვილი, ელენე საგინაშვილი, ანნა საყვარელიძე-ბეჟანიშვილი და თავ. ასული მარიამ ციციშვილი. პირველი ხარისხის საჩუქრები სწავლა დამთავრებულთა შორის წლეულს მიიღეს ეკატერინე ანთაძემ და ელენე ელიაშვილმა. ქართველთაგან ამათ გარდა საჩუქრები მიიღეს: ელენე ცხვედაძემ, მარიამ ბორისოვ-ბერიძემ და მარიამ ყანჩელმა.

*** ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი რინბუნსკი თანახმა გახდა იმისა, რომ უსახელო საზოგადოებამ გადასცეს ტფილისს სესხად 600,000 მან. ქუჩების მოსაკირწყლავად.

*** კვირას, 9 ივნისს, ავლაბარში, ერმოლაევის ქუჩაზედ, ღამის 11 საათზედ, ტფილისის მცხოვრები ივანე რე-

---

იქნება,—ეს არის ჩემი სიტყვა, მას ვერავინ ვერ შესცვლის!

დედოფალი. საზარელი კაცი ხართ! თქვენი მოძღვრება, სარწმუნოება და შოტლანდიის ერის ცხოვრება, მთელი მათი საქვეყნო საქმე შესისხლხორცებულად, განუყრელ რამედ მიგაჩნიათ!

ნოქსი. ეს მართლაც ასრეა!

დედოფალი. მაშ ვინც თქვენთან ერთად არა ჰმოქმედებს...

ნოქსი. იგი დაღუპვას ვერ ასცდება!

დედოფალი. და მე, ეს სუსტი დედაკაცი, ასეთს საზარელს ხალხში ვარს, ამ მქუხარე, მღელვარე ზღვაში! რა ვქმნა? მფარველი არ მყავს: ქმარი მყავს, მაგრამ ქვრივათ ვითვლები, დედოფალი ვარ, მაგრამ ისე მეპყრობიან, როგორც დამნაშავე ქვეშევრდომს! არ ვიცი რად ხართ ასე სასტიკნი?

ნოქსი. მაგრამ თქვენ რომ არც ის იცით, ჩვენი დრო და ხალხი რას ითხოვს. სადაც ღვთის წინააღმდეგ ჰმოქმედებენ, იქ სღმრთო საქმე ადვილათ იმარჯვებს. იცოდეთ მაშ, რომ როგორც-კი ღვთის საწინააღმდეგოს გაჰბედავთ რასმე, მაშინვე მძინარენიც-კი გაიღვიძებენ, სუსტნი გამხნევდებიან, ძალას შემოიკრებენ! ამ რიგად, თქვენდა უნებურად, ჩვენს ქვეყანას მხოლოდ კეთილისმყოფელათ მოევლინებით.

დედოფალი. არა, ეს-კი მეტისმეტია! მე, დედოფალი, ვიწვევ, რომ მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად რჩევა და ნუგეში ვთხოვო და ეს-კი მუქარით მეგებება, ჩემს სარწმუნოებას შეურაცხყოფს. მეუბნება, რომ მე ხალხის დაღუპვა მსურს და მხოლოდ განგება უფლისა თავისის წყალობით სახეიროდა და საკეთილოდ აბოლოვებს ამასა. დაბადების ულმრთო მეფეებს მადარებს და ხალხს ნებას აძლევს, აქეზებს, რომ ამიჯანყდნენ! მაშ თუ აგრეა, ზეცა იყოს მოწმე, რამდენჯერ ვცადე შერიგება, მაგრამ არ იქნა და ვერ დაგიყოლიეთ! იცოდეთ, პასუხს თქვენვე აგებთ! ჩემი გული თქვენა გდებთ ბრალსა, ამასვე გაიმეორებს ჩემი ისტორია და მსჯავრისათვის მომავალს თაობას გადასცემს! ახლა-კი წადით, ამ ამ ქვეყანას გაჰშორდით! ბოლონდელს შეთქმულობაში,—კარგად ვიცი,—თქვენც მონაწილეობას იღებდით და მღვდლები-კი, რომლებიც თავისს კანონიერ მმართველების წინააღმდეგ ხალხს აღელვებენ, ღმერთს სძულან; ამიტომ ვერც ჩვენ ვიშვნევთ მათ ჩვენს სამფლობელოში!

ნოქსი. თუ რომ, თქვენო უდიდებულესობავ, რაიმე ბრალსა მდებთ, მეც ვისარგებლებ ჩემის უფლებითა და უმორჩილესადა გთხოვთ პარლამენტმა გამასამართლოს.

დედოფალი. თქვენვე არ მასწავლეთ განა, რომ თვით ჩვენ შესახებაც-კი შეგვეძლოთ კანონისათვის გვერდი აგვხვიათ; უკეთესს თქვენთვის რად ელით? არა, რაზედაც დაგყევით და რაც მშვიდობიანად დაგითმეთ, ისიცა კმარა, ახლა-კი ვბრძანებ, ვით დედოფალი.. წადით!

ნოქსი. გთხოვთ, მშვიდობიანად...

დედოფალი. სიტყვა აღარ დასძრათ... რა არ გამოვცადე?! შერიგებას როგორ არ ვითხოვდი... და რა გამოვიდა? მხოლოდ უზომოდ ვიტანჯე, შეურაცხმყვეს, თქვენკი ისრე ამაყადა და სასტიკად მკარით ხელი! ოჰ, რა საზიზღრობაა ეს! (სტირის. ნოქსი მცირე ხანს გაშტერებული დგას, შემდეგ მდაბლად თავს დაუკრავს და მიდის).

### გამოსვლა V.

დედოფალი, შემდეგ ლორდი სტიუარტი.

დედოფალი. თავისუფლად სუნთქვა იქ არ შემიძლიან, სადაც ეს საზარელი ფანატიკოსი მსჯელობს და ასწავლის; უთუოდ საჭიროა მისი განდევნა. ყოველს, ჩემ მიერ დაწყებულს საქმეს, მთლად ჩემს სიცოცხლეს იგი წინ გადაჰღობვია! ახლ-კი შორს იგი ჩემგან, შორს მისი მოძღვრება; როგორც თვითონ ის, ისრე მოძღვრებაც მისი მხოლოდ ერთ-ურთის სიძულვილი, წინააღმდეგობა და დაბადების თავისებური განმარტებაა; იგი ყოველივეს ძირიანად ამხობს, უარ-ჰყოფს: უფლებას, კანონს, წესიერებას... არა, არა, ამიერიდგან ფიქრადაც-კი აღარას გავიფიქრებ იმის შესახებ!... მაგრამ მხრის დაჭერა ვის ვთხოვო, ნეტა?

სტიუარტი. გრაფი ბოტველი მოვიდა.

დედოფალი. (ამ მოულოდნელ ამბისაგან თითქმის დაიბნევა.) ბოტველი აქ არის! მე-კი საზღვარზედ მეგონა იგი?

სტიუარტი. ომი საზღვარზედ უკვე გათავებულა,—ბოტველს გაუმარჯვნია.

### გამოსვლა VI.

დედოფალი, ბოტველ (რამდენისამე ოფიცერით სწრაფად შემოდის).

დედოფალი. კეთილი იყოს თქვენი მოსვლა!

ბოტველი. მოვეშურებოდით, რომ თქვენის შემობრძანების დროს აქა გხლებოდით, მაგრამ მაინც დავგვიანდით.

დედოფალი. მაგრამ იმისათვის-კი სრულიადაც გვიან არ არის, რომ ჩვენი გულწრფელი მადლობა და ჯილდო მიიღოთ!

ბოტველი. ნება მიბოძეთ, ერთისა და მეორისათვისაც ეს ოფიცრები წარმოგიდგინოთ, რომლებიც ჩემთან ერთად ბრძოლის მოედანზედ ყოველგვარს გაჭირვებას იზიარებდნენ.

დედოფალი. ლორდ-ლეიტენანტის ერთი სიტყვაც საკმარისია, რომ დავიჯეროთ! ბატონებო, თქვენ მე არ დაგივიწყებთ! (ოფიცრები თავს დაუკვრენ და წავლენ). ბოტველ! თქვენ შოტლანდიისა და თქვენის დედოფლის სიამაყე და მხსნელი მახვილი ხართ.

ბოტველი. მე მხოლოდ თქვენი ერთგული მსახური გახლავართ.

დედოფალი. აი დღესაც ცოცხლად მაგონდება ის დღე, როდესაც მე პირველად გნახეთ. თქვენ მაშინ ჭაბუკი იყავით, მაგრამ მაშინვე მხნედ და გმირულად იბრძოდით; ეს იყო დედი-ჩვენის დროს, მისს მტრებს ებრძოდით. მტრის საუცხოვო ჯარმა უკან დაგახეინათ და იძულებული შეიქმენით თავშესაფარი ჩვენს სასახლეში, პარიჟში გეძიათ. თვალწარმტაცს მდიდარს სასახლეში რომ შემოხვედით, სამშობლო კლდეების სუნმა დამკრა თითქოს. ოჰ, რომ იცოდეთ, რა მძიმე ნაღველი და მოწყენილობა ვიგრძენ მაშინ სამშობლოს გამო!

ბოტველი. მე მაშინ პირდაპირ ბრძოლის ველიდგან მოვედი, საიდგანაც ვინ იცის რამდენს გაჭირვებასა და საფრთხეს გამოვექეცი; მაშ, საკვირველი სულაც არ არის, თუ გარემოებამ სადღესასწაულო მხიარულობის დროს დარბაზში რაიმე უპირატესობა მომანიჭა, განმასხვავა!

დედოფალი. კარის კაცთა შორის თქვენის შესანიშნავისა და იშვიათის ნიჭით მუდამ ირჩეოდით; მაშინვე კარგად გიცანით, რის შემძლეც იყავით: ჯერ იყო, მურრეის მოკავშირე მეამბოხენი სძლიევით და აგერ ახლაც მეორედ გვიხსენით ჩვენცა და შოტლანდიაცა! ბოლომდის ერთგულად შეგვრჩით,—ვექვობ, მეგულებოდეს შოტლანდიის რომელიმე აზნაური, რომელზედაც იგივე ითქმოდეს!

ბოტველი მაგ თქვენს ნდობას, თქვენო უდიდებულესობავ, მეტი აზრი აქვს ჩემთვის, ვიდრე მადლობას!

დედოფალი. დიახ, გენდობით, თუმცა ჰორები მრავალია გავრცელებული; გენდობით!

ბოტველი. გნებავთ, გამომცადეთ!

დედოფალი. თქვენს მეტს არავის ვენდობი!—მითხარით, ბოტველ, ამ სარწმუნოებრივს უთანხმოებას თავი როგორ დავაღწიო?

ბოტველი. ერთად-ერთი საუკეთე-

ვაზიანი წასჩხუბებია სიღნაღის მოქალაქეს გრიგოლ მელიქ-ნუბაროვს, რომელსაც, ჩხუბის დროს გამწარებულს, უძვრია ხანჯალი, ორგან მუცელში დაუჩრია რევაზიანი და სადღაც მიმალულა. პოლიციის განკარგულებით რევაზიანი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. დამნაშავის აღმოსაჩენად საჭირო ზომები იქმნა მიღებული.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს პირველ სისხლის სამართლის განყოფილებაში ხვალ, 7 ივნისისათვის, განსახილველად დანიშნულია საქმე კონსტანტინე სახურიასი, რომელსაც ბრალდება სასჯელთა დებულების მე-1085 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში შაბათს, 9 ივნისისათვის, სხვათა შორის, განსახილველად დანიშნულია საქმე ივანე კალანდარიშვილისა, ვასილ მათიაიშვილისა და მიხეილ მაჩაიძისა, რომელთაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებათ. ამავე დღეს პალატა განიხილავს საქმეს დავით სვანიძისას, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება.

⁂ გუშინ, 5 ივნისს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს დათა ხარაიას გარდაწყვეტილი ჰქონდა ზოგიერთა უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და 2 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. ხარაიას ბრალად ედებოდა სასჯელთა დებულების მე-1647 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა.

⁂ კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტში დაწესებულ იქმნა ახალი თანამდებობა წევრ-საქმის-მწარმოებლისა 2,200 მან. წლიურ ჯამაგირით; ამ თანამდებობაზედ დროებით მიწვეულ იქმნა აგრონომი ფირალოვი.

⁂ ბორჩალოს მაზრის სოფელ ცატერის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ მათზედ გაწერილ სადგილ-მამულო გარდასახადის შემცირების შესახებ.

⁂ „ცნობის ფურცელში“ შემდეგი წერილია დაბეჭდილი ქველ-მოქმედთა საყურადღებოდ: „კიდევ ერთი წევრი მოაკლდა ქართველ მოღვაწეთა გუნდს! სრული წელიწადია მას აქეთ, რაც დალო აღნიაშვილს ნათესავებმა და გარეშე პირებმაც-კი შეამჩნიეს ერთის უძნელესთაგანის სნეულების ნიშნები—სულით ავადმყოფობისა. ნიშნებმა ცოტ-ცოტად იმატეს და საქმე იქამდე მივიდა, რომ ავადმყოფის სახლში შენახვა და პატრონობა შეუძლებელი შეიქმნა... თითქმის სამი თვეა, რაც ის ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს სულით-ავადმყოფთა განყოფილებაში იმყოფება. ექიმები იმის შველის იმედს არ იძლევიან.

„ქართველ საზოგადოებაში იშვიათი მოვლენა არ არის, რომ მოღვაწე თავისს სიცოცხლეს სიღარიბეში ატარებს და ავადმყოფობის დროს უკიდურესს მდგომარეობაში ვარდება. ეს ქართული—ასე რომ ვთქვათ—კანონია და არ ასცდა ეს კანონი დალო აღნიაშვილსაც. კარგადმყოფობაში დალო რასაც თავისს შრომით შოულობდა, დაუზოგველად ახმარებდა გაჭირვებულ ახალგაზდა ქართველებს, ქართულ სიმღერების ნოტებზედ გადაღების საქმეს, ქართული წიგნების გამოცემას და სხვ. ეხლა მას თითონ უჭირს, საავადმყოფოს მცირედი გარდასახადის სახსარიც-კი არ მოეპოვება და ყველასაგან მივიწყებული და მიტოვებული შეიქმნა“.

⁂ პოლიციის 1 ნაწილში, არღუთინსკის ქუჩაზედ, საყვარელიძის სახლის შესავალთან, პოლიციელს უნახავს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი მდედრობითის სქესისა, რომელიც ოლგას საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

⁂ პოლიციის მე-10 ნაწილში, ნაძალადევში, კვირას, საღამოს რაღაც მიზეზისა გამო ჩხუბი მოსვლიათ ხარკოვის მოქალაქეს პავლე კრაევეინს და კურსკის გუბერნიის მცხოვრებს ტერენტი სალოვს, რომლის დროსაც კრაევეინს ხანჯლით დაუჭრია მუცელში სალოვი. კრაევეინი დააპატიმრეს, ხოლო სალოვი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

⁂ ტფილისის მაზრის ცხენოსანს დარაჯს ივანე არსენას ძე ბალახოვს უმაღლესად ებოძა ერთგულ სამსახურისათვის ვერცხლის მედალი ვლადიმერის ლენტზედ.

## ქალაქის საბჭო.

4 ივნისი

ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს, რომ საჭიროა საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულებისა გამო განზრახულს დღესასწაულში მონაწილეობა მივიღოთ და გთხოვთ ამ საქმის მოსაწყობად კომისია აარჩიოთ ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობითაო. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ შემდეგი ხმოსნები: თავ. ა. ი. ბებუთაშვილი, თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, თავ. გ. მ. თუმანოვი, კ. მ. ალიხანოვი, ი. ს. ალიხანოვი, ი. ა. თაიროვი, ა. ს. ბაბოვი, სულხანოვი, შახ-პარონიანცი და ნ. ნ. ოსტროგორსკი. შემდეგ ქალაქის მოურავის წინადადებით შეუდგნენ ქალაქის მოურავის მოადგილის ამორჩევას. გამგეობის წევრმა ხოსროევმა უარი განაცხადა და ყუთი დაუდგეს გამგეობის ორს წევრს: თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილსა (22—11) და მ. ს. შესტაკოვს (17—14) არჩეულ იქმნა ქალაქის მოურავის მოადგილედ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი. ბოლოს საბჭოს მოხსენდა გამგეობის დადგენილება ქალაქის ხორცის სავაჭრო დუქნების დაარსების შესახებ. ამ საგნის გამოსარკვევად გამგეობას მიუწვევია განსაკუთრებული კომისია, ბეითალები, სპეციალისტები და ყველას საჭიროდ უცვნია ასეთის დუქნების დაარსება. ხანგრძლივის კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა: დაარსებულ იქმნას ტფილისში ქალაქის ხორცის სავაჭრო დუქნები; დაავალოს განსაკუთრებულს კომისიას, გამგეობასთან ერთად გამოარკვიოს, თუ რამდენი ხორცის დუქანი დაარსდეს ქალაქში, ნება დართოს ამ საქმისათვის 50 ათას მანეთის გადადებისა ქალაქის მე-3 საობლიგაციო სესხიდგან. განსაკუთრებულ კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ა. ა. ქალანთარი, ი. ო. თაიროვი, მ. ნ. ვესელოვზოროვი, ე. ა. სულხანოვი, ი. ს. ყორღანოვი, თავ. ს. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ფ. კ. გეტცელი.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** როგორც პარიჟიდგან ატყობინებენ „Morning Post“-ს, ჩინეთიდგან დაბრუნებული ფრანგი მისსიონერი აბბატი შევალიე მოუთხრობს თურმე, რომ ჩინეთი კიდევ არ არის ჯერ დამშვიდებული. უცხოელთა წინააღმდეგ აგიტაცია არ შეწყვეტილა და მხოლოდ მოხერხებულს დროსა და შემთხვევას უცდიან, რომ ქრისტიანეთა წინააღმდეგ მოძრაობა უფრო მეტის მხნეობითა და ძალით დაიწყონო. „დიდის მუშტის“ მომხრენი ყველგან პროკლამაციებს ავრცელებენ, ვითომ ჩინეთის იმპერატორს ვადა დაედოს უცხოელებისათვის, ამ ვადაზედ ჩინეთიდგან უთუოდ გავიდნენ; წინააღმდეგს შემთხვევაში ყველას ზღვაში გადავყრით და დავახრჩობთო. და რომ უფრო ნათლად დაუმტკიცონ როგორმე ყველას, ეს მათ მიერ გავრცელებული ხმა რამდენად მართალია, პროკლამაციებზედ დაუხატნიათ, ჩინელები უცხოელებს ზღვაში როგორა ჰყრიან პანტა-პუნტითა.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ახალგაზრდა ჰოლანდიელი მკურნალი პუტინა, რომელიც 1900 წ. მაისიდგან ბურების რაზმში იყო მკურნალათა და ტყვეთ ინგლისელებმა მხოლოდ დევეტის კაპის ახალშენში შესევის დროს წაიყვანეს, მოგვითხრობს, „რომ იმ დროს, ე. ი. ამ წლის თებერვალში, ბურებს ფქვილის საგზალი, ფეხთ-საცმელი და ტანთ-საცმელი ჯერ კიდევ საკმაოდ ბლომად ჰქონიათ. აღარა ჰქონდათ მხოლოდ ყავა, შაქარი და ერბო. მაგრამ ამისი შოვნა კაპის ახალშენში ჰქონდათ განზრახული. ბურებს აზრადა ჰქონდათ ახლა თვითონ ეცხოვრათ კაპის ახალშენში ინგლისელების ხარჯზედა, როგორც ინგლისელები ტრანსვაალსა და ორანჟეს რესპუბლიკაში სცხოვრობდენო. მე მალე ტყვეთ წამიყვანეს, მაგრამ, როგორც ვიცი, ბურებმა თავისი განზრახვა საუცხოვოდ შეასრულეს და კაპის ახალშენში დიდ-ძალი სურსათი შეიძინესო. საზოგადოდ-კი, რაც შეეხება ბურების მოხერხებასა და გამჭრიახობას, სიტყვით აუწერელი და განსაცვიფრებელიაო.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

2 ივნისი.

**ბერლინი.** ბისმარკის ძეგლი გახსნეს დიდის ამბით. დაესწრო იმპერატორი. ყვავილთა ხვეულებით და დროშებით მორთული მოედანი ხალხით იყო სავსე. დაესწრნენ ძეგლის გახსნას აგრეთვე თავადი ჰერბერტ ბისმარკი, იმპერიის კანცლერი, მინისტრები, დეპუ-

---

სო საშუალება ის არის, რომ დაივიწყოთ!

**დედოფალი.** ესაც რჩევა! ხა, ხა, ხა!

**ბოტველი.** თუ არა-და, მათი წარმომადგენლები როგორმე დაიახლოვოთ, ადგილები, ქონება უწყალობოთ!

**დედოფალი.** მათი წყალობა არ შემიძლიან: ყველა განდევნილია!

**ბოტველი.** განდევნილნი დაიბრუნევით!

**დედოფალი.** როგორ, დავაბრუნო სახელმწიფო დამნაშავენი?!

**ბოტველი.** მერმე, შოტლანდიაში განა ვისზედ-ღა არ ითქმის ეგა? არა უშავსრა, დეე, მოუსვენარმა ადამიანმაც იშფოთოს ცოტა, იყვიროს, ოღონდ ბოლოს დაძლეულ იქმნეს! დამარცხებულთა შორის გამარჯვებული მუდამ კარგადა სცხოვრობს!

**დედოფალი.** გეტყობათ, რომ კათოლიკე ხართ და არა გულ-ჩათხრობილი, მოქუშული პროტესტანტი!

**ბოტველი.** მაგრამ განსხვავება რაშია, არასოდეს არ მიფიქრია; ვიცი მხოლოდ ის, რომ გაიძვერა და უნდობი ხალხი იქაც ბევრია და აქაც.

**დედოფალი.** ხა, ხა, ხა!

**ბოტველი.** მაშ თუ დედოფალი ღირსადა მცნობს და რჩევასა მკითხავს, გავბედავ და მოვახსენებ: ყველა ამ შეწუხებისათვის ჯილდოთ განა რას გამოელის?

**დედოფალი.** როგორ თუ ჯილდოთ?

**ბოტველი.** პირადად თქვენს ჯილდოს არ შევეხები, რადგანაც უკვე ვიცი ჯილდოთ რაცა გხვდათ: შეურაცხყოფა და ცრემლები; მაგრამ მიბრძანეთ, ქვეყანა, ან თქვენ, როგორც დედოფალი, ამისაგან რა სარგებლობასა ჰხედავთ?

**დედოფალი.** მართალია, დღემდის სულ მცირეს.

**ბოტველი.** თუ რომ ჯილდოთ იმას არა სთვლით, რომ ამდენი წელიწადია თქვენი უდიდებულესობა მხოლოდ არეულობას, ღალატსა და თავდასხმას ჰხედავს!

**დედოფალი.** მაგრამ დახმარებას, შემწეობას დამპირდნენ.

**ბოტველი.** ჰმ! ძალიან ვექვობ, რომ ეს დახმარება იმას აღემატებოდეს, რასაც ჩემი ცხენოსანი რაზმი ერთს ცხელს დღეში დაიმუშავებს! პაპისაგან უთუოდ წყვილი კრიალოსანი მოგივათ, მეფე ფილიპესაგან—ერთი ბოჩკა კვიპროსის ღვინო, ეკატერინესაგან კიდევ ბევრი, ბევრი - პაწია შუშით შხამი მიიღოთ.

**დედოფალი.** ხა, ხა, ხა! მართლაც-და ამ სიტყვებში უფრო მეტი სიმართლე არის, ვიდრე რამდენისამე წლის დიპლომატიურს მოლაპარაკებაში!

**ბოტველი.** გავბედავ და კიდევ მოგახსენებთ, თუ მიბრძანებთ..

**დედოფალი.** სთქვით, სთქვით!

**ბოტველი.** მართალია, ახალგაზრდა, ლამაზი და ჭკვიანი ბრძანდებით, მაგრამ სულ ერთთავად შფოთსა და მოუსვენრობაში ატარებთ დროს და სიცოცხლით-კი ვერა სარგებლობთ. დიდი ხანი არ არის, რაც ჰმეფობთ, მაგრამ უკვე ორ გზის აგიჯანყდნენ; მთელს თქვენს დროს ინგლისსა და ხმელზედ მობნეული ათასს-გვარის შფოთისა და დაგებულ მახისაგან თავის ხსნას ანდომებთ. ხან ცხენით სეირნობის დროს უნდათ როგორმე ტყვეთ წაგიყვანონ, ხან კიდევ ეკკლესიაში ან ღამით განსასვენებელს ოთახებში გიცვივიან, თვალ წინ. თუ შორს სადმე, ერთგულს მსახურებს გიკლავენ. და ყველა ამას მხოლოდ სარწმუნოების სახელით ამართლებენ! აი, ასრე გაჯილდოებენ ყველა თქვენის ზრუნვისათვისა და თქვენი აპყვავებული ახალგაზრდობა-კი ჰქრება, ვით ქარიშხალში ვარდის ბუჩქს ნელ-ნელა სცვივა ფოთლები!

**დედოფალი.** ეგ მართალია, მართალი არის!

**ბოტველი.** რომ კიდევ იმედი გქონდეთ—მიაღწევთ რასმე, არა უშავსრა; როგორც ყველა სხვა პატიოსანი ადამიანი, თქვენ, ვიცი, არასფერს არ შეუშინდებოდით, შრომას არ დაიზარებდით. მაგრამ, მიბრძანეთ, თუნდა იოტის ტოლად მაინც არის შეიცვალა, თუ არა სარწმუნოების საქმე მას შემდეგ, რაც შოტლანდიის ნიადაგზედ ფეხი დასდგით? იგივ განხეთქილება, იგივ სიცრუეა ყველგან!

**დედოფალი.** დიაღ, აგრეა, მართალია!

**ბოტველი.** ვინც მიზანში ამოღებულ საგნის მიღწევას სულით და გულითა ჰლამობს, იგი ხშირად სრულიად ვერ ამჩნევს, რომ ამ საგანს მხოლოდ გარს უვლის. საჭიროა უთუოდ სხვამ შეჰნიშნოს ეს და გააფრთხილოს. ეს სხვაც მე ვარ და მოვახსენებ თქვენს უდიდებულობას, რომ, რაც-კი დღემდის ხალხისა და სარწმუნოების სახელით განგიზრახავთ და გაგიკეთებიათ, ამან მხოლოდ უბსკრულის პირად მიგიყვანათ გადასაგდებათ. თავი ანებეთ, საქმეებმა დეე, თავისის წესითა და რიგით იწარმოვონ,—იყავით ადამიანი, ახალგაზრდა დედაკაცი, დედოფალი! დედამიწის ზურგზედ ფსალმუნებს გარდა, სხვა უფრო წარმტაცი კილოც არსებობს; საფლავებს გარდა, სხვა ადგილებიც მოიძებნება? მიბრძანეთ და ხელს დაგიჭერთ, ლხინში წაგიყვანთ, ან-და ჩემთან ერთად გახურებული ცხენი ბრძოლის ველზედ გაგაქანებთ. აიღეთ ეს სიცოცხლის გვირგვინი და მაგ თქვენს გაზაფხულივით სუნნელოვანს თმებში ჩაიწანით. თქვენ ხომ ტყის ფერიასავით მშვენიერი ხართ! მაშ რაღას უცდით, ისარგებლეთ ამ თქვენის სამფლობელო ბუნებით, ვიდრე თვისი მომხიბლველი ძალა არ დაუკარგნია,—თორემ შემოდგომაც მალე დადგება!

**დედოფალი.** ოჰ, მაგითი ხომ ჩემი ჩამობნელებული გული მზის სხივივით გაანათლევით! მონასტრის დალვრემილს კოშკში გამომწყვდეულსავით მაგ თქვენს მხიარულს სიმღერას ხარბად ვისმენ მე! აგერ, დავიწყებულნი ძველნი სურათნიც კვალად სდგებიან, მიძინებულმა ბავშვობის ოცნებამ კვლავ გაიღვიძა. აივანზედ გამოვირბინე! თვალ-წინ მზის სხივებით გაკაშკაშებული ლურჯი სივრცე და საუცხოვო სანახაობანი გადამეშალა,—აივანს ქვეშ გხედავთ თქვენ, ცხენზედ მჯდომს, საომრად გამოწყობილსა; გვერდით ჩემი შეკაზმული ცხენი გიდგათ და მოუსვენრად ჩლიქით მიწას სთხრის. თქვენ მე ხელი გამომიწოდეთ,—გამოვქანდი თქვენკენ და ბავშვობის საოცნებო ძვირფას ქვეყნისაკენ ერთად მოვუსვით, ქარიშხალივით გავიქროლეთ!—და აგერ ისევ საფრანგეთში ვარ სასახლეში: იქ ტრუბადურთა საამური ხმა მიტკბობს სმენას, ლამაზთა ქალთა პირბადენი მოფრიალებენ.. ტანით საროსნი რაინდნი ცხენებს თავს ძლივს უმაგრებენ, დროშანი მოფრიალებენ, და მე იქა ვარ დედოფალი, იქ მიღიმის ბედნიერება!.. ოჰ, წამიყვანეთ მაშ იმ თვალთმაქცურს ქვეყანაში, სადაც ყმაწვილობის ცელქი ოცნება ასე ხშირად გამიტაცებს ხოლმე! თქვენ მართალი ხართ, ჯერ უნდა ვიცოცხლო და დავტკბე, თორემ სიკვდილი ხომ არ ამცდება!

**ბოტველი.** დიახ! მიბრძანდით თქვენს მშვენიერს ქვეყანაში, ეწვიეთ მეგობრებს, იარეთ კლდეებზედ, ინადირეთ, იცეკვეთ, შემდეგ დაეშვით ზღვის პირად და იქ იგრილევით; იქ ვარ გაზრდილი, იქ დავვაჟკაცდი. თქვენი მწუხარება იქ, მის თვალუწვდენ ტალღათა შორის, შთაინთქმის და მხნეობა კიდევ იალქნებს დასჭიმავს. იქ დაგებადებათ დიდნი განზრახვანი და იქვე აღიჭურვებით საჭირო ძალით, რომ შეასრულოთ კიდეც.

**დედოფალი.** დიაღაც, თქვენთან ყველაფრის დავიწყება შემიძლიან, შემიძლიან ბედნიერება გამოვცადო, მე ამასა ვგრძნობ!

**ბოტველი.** დიახ აგრეა, ბუნებასაც

ტატები და სხვანი. იმპერატორმა იმპერატრიცასთან ერთად ფარდულში დაიჭირა ადგილი. დღესასწაული ათას მესწავლეთაგან შემდგარ ხორის გალობით დაიწყო. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ლევეცოვმა, რომელსაც პასუხი უგო იმპერიის კანცლერმა. ლევეცოვმა ძეგლის გახსნის ნება-რთვა ითხოვა. ფარდა ჩამოვარდა და გამოჩნდა ძეგლი უზარმაზარის ფიგურითა და ერთად-ერთის ამ სიტყვის წარწერით: „ბისმარკი“. ამავე დროს შადრევანი ამოვარდა. იმპერატორმა პირველ გვირგვინით შეამკო ძეგლი.

**ბერლინი.** ლევეცოვმა თავისს სიტყვაში აღნიშნა, რომ იმ ძეგლის კურთხევა, რომელიც მთელ დედამიწის ნემეცებმა აგეს, მოხდა იმპერატორისა, იმპერატრიცისა, სხვა უავგუსტოეს წევრთა, თავად ჭერბ. ბისმარკისა, საკავშირო სეიმისა და იმპერიის სეიმის თანადასწრებითა. ხსოვნა ბისმარკის შესახებ მსოფლიო ისტორიაში იქმნა შეტანილი. ბისმარკი საერთო გმირია, რომელსაც ქვეყანა გაკვირვებით შესცქერის; ყველა იმან, ვინც ამ ძეგლს უყურებს, უნდა სთქვას: „იგი კაცი იყო“.

**ბერლინი.** იმპერიის კანცლერმა თავისს სიტყვაში გამოსთქვა: მთელის გერმანიის ერის შორის არ აღმოჩნდება ისეთი კაცი, რომელიც არა ჰგრძნობდეს და არ იყოს მონატრული, რომ აღტაცება და მადლობა რკინის კანცლერის მიმართ არასოდეს არ განქრეს, არ განქრეს იმ დრომდე, ვიდრე ჰფეთქავს გერმანიის გული, ვიდრე ბაგენი ნემეცურად ლაპარაკობენ, ვიდრე ცოცხალია ნემეცის მუშტი. „შექმნა რა იმპერია იმპერატორის დიდ ვილჰელმის დროს და იმასთან ერთად, ბისმარკმა იშვიათის თავდაჭერილობით უზრუნველ-ჰყო მშვიდობიანობა ამ იმპერიისა და მთელის ქვეყნისათვის. იგი ამავე დროს სათავე იყო გერმანიის ხალხის ახალის ხანისა; იმან გვასწავლა, რომ კეთილ-გონიერის, ზნეობრივის და დამაშვიდებელ პოლიტიკის ხელმძღვანელად ხალხის ნამდვილი და მუდმივი ინტერესები უნდა იყოს მხოლოდა. უოველი იმისი მოქმედება გვიჩვენებდა, რომ პოლიტიკაში ყოველ წუთს უმთავრესად უნდა ჩაითვალოს უნარი მიუწვდომელის საზღვრების სწორედ აღნიშვნისა და შემდეგ ყოველის საშუალების მოხმარება იმის მისაღწევად, რის მიღწევაც შესაძლებელია სახელმწიფოს სასარგებლოდ და საკეთილოდ. ბისმარკი თავმდებია იმისა, რომ ჩვენი ერი ვერასოდეს ვერ იტყვის უარს სხვა ერებთან თანასწორობაზედ. შუაგულ ევროპაში მყოფნი, ჩვენ იძულებულნი ვართ ყოველთვის ფხიზლად ვიყვნეთ, მაგრამ ჩვენ საკმაოდ ძლიერნი ვართ“. დასასრულ კანცლერმა იმპერატორის პატივსაცემად სამჯერ „hoch“ წარმოსთქვა.

**მოტლენო.** კაპის ახალშენში შესული ბურები უკუ-გდებულ იქმნენ კაფრარიის საზღვრისაკენ, მაგრამ მათ არ მოისურვეს კაფრთა მიწა-ადგილში გადასვლა და ხელ-ახლა გაიკვლიეს გზა დასავლეთისაკენ. ეს ჯარი ბურებისა შესდგება კრუიცინგერისა და ფუშეს რაზმებისაგან; თითოში 200—300 კაცია. კრუიცინგერის რაზმმა წარსულ დამეს გაარღვია ინგლისელთა სადარაჯო რაზმი. ამბობენ, რომ ჯემსტოუნის აღების წყალობით ბურებმა ხელ-ახლა გაიჩინეს საკმაო ტანისამოსი და საომარი მასალა. კრიუცინგერს ერთ ფერმერისათვის უთქვამს, რომ ბურთა რაზმების შესევა ეს არის ეხლა იწყობა მხოლოდ, რომ ბურებს აზრადა აქვთ აიძულონ ინგლისელნი ისევე აოხრონ კაპის ახალშენი, როგორც ორივე რესპუბლიკა აოხრესო.

4 ივნისი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ნიჟნი-ნოვგოროდის მახლობლად მდინარე ლინდაში თევზაობის დროს „Московскій Листокъ“-ის გამომცემელმა პასტუხოვმა რევოლვერით უცაბედად დასჭრა გლეხის რვა წლის ბიჭი.

**კიევი.** ღამით ცეცხლი წაეკიდა ნავთ-სადგურს, სადაც ეწყო მრავალი შეშა და სხვა მასალა. დაიწვა 150 საჟ. შეშა. ცეცხლი ძლივს-ღა ჩააქრეს.

**ლონდონი.** კიტჩენერი პრეტორიიდგან იუწყება: „30 მაისს ვილმანსრუსტის მახლობლად 250 მსროლელ ცხენოსანს თავს დაესხა ბურების ძლიერი რაზმი. მოკლულია 2 ოფიცერი და 16 ჯარის-კაცი, დაჭრილია 4 ოფიცერი და 38 ჯარის-კაცი; 2 ოფიცერი და 50 ჯარის-კაცი გადარჩნენ, ხოლო დანარჩენი ტყვედ წაიყვანეს და შემდეგ ისევ გაუშვეს. მაქსიმეს სისტემის ორი იარაღი ხელთ ჩაუვარდა მტერს.

**ადენი.** ინგლისის რაზმმა დოლბახანდის მიწას ჯებილემდე მიაღწია, რომელიც მდებარეობს 27 ვერსის მანძილზედ ხელედგან, სადაც სცხოვრობს მულა.

**კონსტანტინეპოლი.** სახელმწიფოვალის კასის წაბჭომ სთხოვა პარიჟში ოსმალეთის ბანკს, ყურადღება მიაქციოს, რომ ბოლგარიის სესხის შესახებ მოლაპარაკების დროს პროცენტები შეტანილ იქმნას აღმოსავლეთ რუმინიის დარჩენილ გარდასახადიდგან.

რადგანაც კრიტოსში თანდათან უფრო ცდილობენ ეს კუნძული საბერძნეთს შეუერთონ, ამისათვის პორტამ მიმართა ოთხს დამცველ სახელმწიფოს ცირკულიარით, რომელშიაც სწერს კრიტოსის სახალხო კრების მიერ ოსმალეთის მთავრობის უფლებათა დარღვევისა გამო და სთხოვს, რომ ბოლო მოუღონ ამ აგიტაციას. ოთხის დიდ სახელმწიფოსაგან მიღებულ პასუხით, როგორც ისმის, პორტა დაკმაყოფილებულია. ოსმალეთის ელჩებმა მიიღეს ფორმალური მოწერილობა, რომ სახელმწიფონი ვერ შეიწყნარებენ კრიტოსში status quo-ს ვერავითარ შეცვლასაო.

**პეკინი.** სადიპლომატო კორპუსი შეთანხმდა იმისს შესახებ, თუ რა საშვალებით იქმნას სესხი უზრუნველ-ყოფილი. შეერთებული შტატები დათანხმდნენ არ მოითხოვონ მაინც და მაინც მათ მიერ წარდგენილ პირობათა აღსრულება და მიიღონ ბაჟის გადიდება 5%-ით. ხოლო იმის შესახებ, თუ რა გზით გადაიხადოს ჩინეთმა სამხედრო საზღაური, სადიპლომატო კორპუსი ერთხმად დასთანხმდა ობლიგაციების გამოცემაზედ.

**ბელგრადი.** როგორც აქ მიღებულ ოფიციალურ ცნობიდგანა სჩანს, ახალ ბაზარში აჯანყება, რომელშიაც ათასზედ მეტი ალბანელი იღებდა მონაწილეობას, გამოიწვია კაიმაკამის დანიშვნამ, რომელიც ყველასა სძულს. აჯანყებულებმა აიძულეს იგი სენიცაში გაქცეულიყო. ახალ ბაზარში აგერ ხუთი დღეა დუქნები დაკეტილია.

**კაპშტადტი.** აქ იუწყებიან, რომ უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში პორტ-ელისაბეტში 3 კაცი გახდა შავი ჭირით ავადაო. საზოგადოდ აქამდის შავი ჭირით ავად გახდა სულ 714 კაცი, რომელთაგან 338 მოკვდა.

**პრაგა.** დღეს დილით იმპერატორი ტურეზიენშტადტში წავიდა. ვოგზალზედ იმპერატორმა მადლობა გადაუხადა ყველას კარგად და გულითად მიღებისათვის. პრაგაში მცხოვრებ უცხოელთ: რუსებმა, სერბიელებმა, ბოლგარელებმა და ბელგიელებმა გუბერნატორს ადრესი გადასცეს ფრანგულს ენაზედ იმპერატორისათვის მისართმევად.

**ლონდონი.** ნორვალსპონტიდგან იუწყებიან, რომ აქაურს ოლქში ბურებისა და მათ მოკავშირე კაპის ახალშენელთა რიცხვს თან-და-თან ემატებაო.

**შანხაი.** როგორც სიანფუდგან იუწყებიან, გუშინ იქ გარდაიცვალა ბანდუნის გუბერნატორის იუანშიკაის დედა. აქ იმედი აქვთ, რომ რამდენიც შესაძლებელია, მიღებულ იქმნება ზომები, რომ გუბერნატორმა მოკლე ხნითაც არ დასტოვოს თავისი პროვინცია.

5 ივნისი.

**პეტერბურგი.** 5 ივნისს, დილის 5 საათზედ, პეტერჰოფში მისმა უდიდებულესობამ დედოფალ-იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა შვა ქალი, რომელსაც დაარქვეს ანასტასია.

**ბაქო.** ბუხარის ემირი აქ მოვიდა და აქედგან პიატიგორსკის სამკურნალო წყლებში გაემგზავრა.

**პეკინი.** უცხოეთის ელჩი ამბობენ, რომ სამხედრო საზღაურის შესახებ მოლაპარაკება კარგად მიდისო. მათ იმედი აქვთ, რომ ივლისის დამლევამდე ყოველივე მოლაპარაკება დასრულდება. პოტინფუს გზათა დირექტორმა მიიღო მოწერილობა, მიიღოს ზომები, რომ 3000 ჩინეთის ჯარის კაცი პეკინში იქმნას გადაყვანილი.

**ჰააგა.** ჰოლანდიის მთავრობამ სთხოვა ინგლისის მთავრობას, რომ გაუადვილოს მას სანოვაგისა, ტანისამოსისა და სხვათა გადაზიდვა სამხრეთ აფრიკაში ბურების ცოლ-შვილთათვის. ინგლისის მთავრობამ შეიწყნარა ეს თხოვნა.

**პარიჟი.** სენატმა ხანგრძლივის კამათის შემდეგ მიიღო ასოციაციათა კანონის მეექვსე მუხლი, რომელიც ადგილ-მამულების შეძენასა და მართვა გამგეობას შეეხება.

**პეკინი.** საფრანგეთის ერთ-ერთი ბრიგადა პეჭილიდგან გაყვანილ იქმნება 12 ივლისსა და 7 აგვისტოს.

**ლონდონი.** გუშინდელ გაზეთებში დაბეჭდილ სიიდგან სჩანს, რომ პარასკევს გაუტკოპთან დიდი ბრძოლა მომხდარა, რომელშიაც მოუკლავთ 3 და დაუჭრიათ 12 კაცი.

---

თავისი საკურთხეველი აქვს, რომელსაც ჩვენს დარდს, ჩვენს მწუხარებას მსხვერპლად უნდა შევწირავდეთ! არა ჰგრძნობთ განა, რომ ჩემს სიტყვებზედ წყურვილი სიცოცხლისა კვალად აღგეძრათ?.. გულში ხომ არ ჩაიკლავთ ამ გრძნობას! ახალგაზრდაიაი სისხლსაც თავისი მოთხოვნილება აქვს, რომელსაც მოხუც ბერების დანაყბედთან, რასაკვირველია, საერთო არა აქვს-რა; ბუნების ძალმა თვისი კვალი ღრმად დაგვაჩნია და მოვალენი ვართ, ვიდრე დავიხოცებოდეთ, ნაყოფი გამოვაღებინოთ, ვისარგებლოთ! ავადმყოფმა და შევიწროვებულმა ახალი ძალი და განახლება ისევ სიცოცხლეში უნდა ეძიოს! დიე, სუფთა ჰაერი მხნეობისა და სიტკბოებისა ისუნთქოს იმან, ვისაც ხელი უკანკალებს!

დედოფალი. დიახ, ისუნთქოს მთელის გულით! წავიდეთ! (უნდა წავიდეს)

გამოსვლა VII.

იგინივე. ლორდი სტიუარტი. დარნლეი მოქალაქენი. შემდეგ ნოქსი.

სტიუარტი. სასახლის კაცნი და მოქალაქენი თქვენს უდიდებულესობას უცდიან.

დედოფალი. შემოვიდნენ! (როდესაც კარი იღება, ისმის შორიდგან სადღესასწაულო მარშის ხმა).

მოქალაქეთა წარმომადგენელი. (მუხლს მოიდრეკს). თქვენის უმოწყალესის ბრძანებისა თანახმად, ჰა გიახელით, რომ თქვენს უდიდებულესობას დღესასწაულზედ ვეახლნეთ. (ადგება).

დარნლეი. (ჩუმად მივა დედოფალთან). თქვენის უდიდებულესობის ბრძანებისა თანახმად, მეც გამოვცხადდი, რომ დღესასწაულზედ მიგაცილოთ.

დედოფალი. მე, მილორდ, იქამდის ბედნიერი ვარ, რომ შემიძლიან უთქვენოდაც — (ჩუმად) სამუდამოდ! (დარნლეი უკან წაბარბაცდება და ავანსცენის კუთხეში რჩება, მარჯვნივ). არ ინებებს გრაფი ბოტველი მიგვაცილოს დღესასწაულზედ, რომლის მიზეზიც ჭეშმარიტად თითონ იგია!

ბოტველი. (წინ წამოდგება, მუხლს მოუდრეკს და დედოფალს ხელს გაუწვდის. ყველანი წყვილ-წყვილად დადგებიან: ჯერ დედოფალი და ბოტველი და დარნლეის გვერდით გაუვლიან, მაგრამ პირზედაც-კი არ შეხედავენ, შემდეგ სხვანი. ზოგიერთნი დიმილით უცქერიან დარნლეის, სხვანი დაცინვით, დანარჩენნი სულმთლად არ უყურებენ. სცენა დაცალიერდება. მუსიკის ხმა მისწყდება).

დარნლეი. (დიდხანს უმოძრაოდა სდგას, შემდეგ მუხლის თავებზედ დაეშვება და პირზედ ხელებს მიიფარებს. დარნლეის პაჟი, უილიმ ტეილორიც, უკან მდგომარე, დაიჩოქებს და ლოცულობს. ამ დროს ჩუმად შემოდის ნოქსი, დარნლეისა და ტეილორს შუა იგიც მუხლს მოიდრეკს და ლოცულობს).

ნოქსი. ღმერთო, დაამშვიდე ეს ცოდვილი, მაგრამ სასტიკად დასჯილი სული, განწმიდე იგი საწრთობელსა მაგან სინანულისასა და მოწყალებითა შენითა ჰფარვიდე მას!

დარნლეი. (რომ ნოქსის ხმას გაიგონებს, თავს მაღლა აიღებს და გადაწვდენილს ხელებს მისკენ გააშვერს, შემდეგ, როდესაც ნოქსი ლოცვას გაათავებს, წამოვარდება, ნოქსს გულზედ გადაეხვევა და ქვითინებს).

ნოქსი. აბა, შვილო ჩემო, ხომ საკმაოდ იგემე ნაყოფნი ეგე ცხოვრებისანნი?

დარნლეი. საკმაოდ!

ნოქსი. მზადა ხარ მაშ წახვიდე იქ, სადაც ყოველივე სამარადისოა?

დარნლეი. მზადა ვარ, თუ-კი სადმე სიყვარულს ვპოვებ, — ოჰ, ვერ წარმოიდგენ, სიყვარული რა რიგ მწყურიან!

ნოქსი. სიყვარულის საგანსაც იპოვნი, შვილო, იპოვნი! (ტეილორს) შენ არა მთხოვდი, ტეილორ, დარნლეისათვის, აბა მაშ დამეხმარე კიდეც, რომ სამარადისო სიყვარულისა და ცხოვრების გზაზედ დავაყენო იგი.

დარნლეი. (ტეილორს). როგორ, არც შენ დამტოვე? ვინც რომ დღეს ჩემთან დარჩა, იგი სიკვდილის წამამდე ჩემთან უნდა იყოს!

ტეილორი. ბოლომდის! (ერთმანერთს გადაეხვევიან. ქუჩიდგან ათასი ხმა ისმის, ისმის ძახილი: „მარიამ შოტლანდელს გაუმარჯოს!“ „დედოფალს გაუმარჯოს!“ მუსიკა უკრავს, ზარბაზნებს სცლიან).

დარნლეი. დედოფლის პატივსაცემლად სამხიარულო ძახილს ჰაერი შეუძრავს, გაუჟღენთია! იგი ახლა გამარჯვებულია, მე-კი დაჯობნილი, დამარცხებული!

ნოქსი. (ერთხანს დარნლეის სასოწარკვეთილებას ჩუმად შესჭვრეტს). გაიმარჯვებ, თუ არა შენ, ეს არ ვიცი, მაგრამ ის-კი კარგად ვიცი, რომ დედოფლის საქმე წაგებულია!

ფარდა.

განცხადებანი

სემინარიელი

(VI კლ.) ამზადებს მოსწავლეებს სასულიერო და საერო სასწავლებლებისათვის.

კობის ქუჩა (წყნეთის ქუჩის მახლობლად), მე-2-ე შესახვევი, სახლი № 44. (3—134—2)

იძლევა

ქირით ხუთი ოთახი. ნიკოლოზის ქუჩა, № 21, სახლი ე. გ. საგინაშვილისა.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური

ბორნო-ცვიმოლის საპონი

პროვიზორის

გ. ფ. იურგენსსა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს, ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი ლონდონი 1893 წ. ფასი თითო ნაჭერის 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ. იყიდება რუსეთის ყველა სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. (48—6.—44)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5-го Юня 1901 г.

სტამბა ქქ. ივ. ხელაძისა, დოლის-მელიქოვის ქ., № 28.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე